

ქართულ ტოპონიმთა ერთი ტიპის ისტორიისათვის

ქართულ ენას მრავალი წარმომქმნელი აფიქსი მოეპოვება. მათგან ძალზე პროდუქტიულია -ურ//-ულ ბოლოსართი, რომელიც საზოგადოდ ხასიათდება პოლიფუნქციურობით და აწარმოებს:

ა) ნიშან-თვისების გამომხატველ ზედსართავ სახელებს (კაც-ურ-ი, ძმ-ურ-ი...);

ბ) წარმომავლობის სახელებს (ქალაქ-ურ-ი, თბილის-ურ-ი, აქა-ურ-ი, მეგრ-ულ-ი, რაჭ-ულ-ი...);

გ) გვარსახელებს (ბუჩუკ-ურ-ი, ჭინჭარა-ულ-ი...);

დ) გათხოვილ ქალთა ქალიშვილობის გვარის ვარიანტებს (კვინიკო-ურ-ი, ბრეგო-ულ-ი...);

ე) მიმღეობათა ერთ ტიპს (დანაყ-ულ-ი, მოპარ-ულ-ი...);

ვ) მასდართა ერთ ტიპს (ჭუჭლ-ურ-ი, ფათ-ურ-ი...) და ა.შ. (ბ. ჯორბენაძე..., 1988, გვ. 391-392, 396-400).

გარკვეულია, რომ -ულ ვარიანტი მეორეულია და მომდინარეობს -ურ სახეობისაგან, ოღონდ იგი დასტურდება მაშინ, როცა ფუძეში არის რ თანხმოვანი (იქვე, გვ. 390-392). ამის გამო -ურ//-ულ ერთ მორფემად განიხილება.

სამწუხაროდ, ბ. ჯორბენაძის, მ. კობაიძისა და მ. ბერიძის მიერ შედგენილ განმარტებულ ნაშრომში "ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში" არ სრის ცალკე გამოყოფილი -ურ//-ულ სუფიქსის შემცველი მიკროტოპონიმები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველ ჯგუფს ქმნიან მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის ორსიტყვიანი სინტაგმები, რომლებშიც პირველ კომპონენტად, მსაზღვრელად -ურ//-ულ სუფიქსიანი სახელებია წარმოდგენილი. მეორე კომპონენტად, საზღვრულად კი — სიტყვები: მიწა, მამული, ფუზე, ვენახი, სვეენახე, ნავენახები, ქალა, პარტახ(ტი), სახლი, სასახლე და მისთ. მიკროტოპონიმთა მეორე ჯგუფი კი -ურ//-ულ სუფიქსის შემცველი თითოსიტყვიანი მიკროტოპონიმებისგან შედგება. მაგალითად, 1578 წელს შედგენილ ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარში ვკითხულობთ:

"მართებს მსხილაურსა პარტახსა ომფორის სამსახური" (ქსძ, III, 1970, გვ. 279);

"მართებს მახარაულს პარტახსა ღუნო კოკა ცხრა, საკლავი თორმეტის თეთრისა, ქათამი ერთი და საბელი ერთი და ყოვლის დღის მუშობაჲ" (ქსძ, III, 1970, გვ. 323);

"მართებს ჯუმაურს პარტახსა ღუნო კოკა ოცდაცხრა, საკლავი თორმეტისა თეთრისა, ქათამი ორი, თეთრი ორი და ნახევარი, კუერცხი ოცი, ღომი ურემი ერთი და საბელი ერთი" (ქსძ, III, 1970, გვ. 325);

"მართებს მარუშულის პარტახსა თეთრი თორმეტი, სანთელი ლიტრა ერთი, ღუნო კოკა თურამეტი, ქერი ნაოთხალი ექუსი, პური ნაოთხალი ორი, კუერცხი ათი" (ქსძ, III, 1970, გვ. 330);

"მართებს ჯანგიაურს პარტახსა თეთრი ოცდაერთი, ღუნო კოკა ათიანთა

ოცდა[ა]თი, ღომი ნაოთხალი ორი“ (ქსდ, III, 1970, გვ. 335);

“მართებს ანდლულაძეთა ხუთთა კუმხალაურის ფუზისა ჩითახური ოცი“ (ქსდ, III, 1970, გვ. 341);

“მართებს ზავლას მკედლიძესა კბილაურის პარტახტისა ჩითახური ოცი“ (ქსდ, III, 1979, გვ. 341).

სრულიად უწყველია, რომ ამ მიკროტოპონიმებში -ურ//ულ სუფიქსი დართულია პირსახელებისა და მეტსახელების ფუძეებზე და ძირეულ სიტყვებად გამოსაყოფია მსხილა, მახარა, ჯუმა, მარუში, ჯანგია, პატკანა, კუმხალა, კბილა. ცხადია ისიც, რომ -ურ//ულ სუფიქსის ფუნქცია კუთვნილების გამოხატვაა: მსხილაური პარტახტი ნიშნავს “მსხილას კუთვნილ პარტახს” კუმხალაური ფუზე — “კუმხალას ფუზეს” და მისთ.

მსგავსი ორწევრა მიკროტოპონიმები დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვა საბუთებშიც:

ჯინჯარაული და წურაული ზუარი (XVI ს.), ბუილაური მამული (XVI ს.), ნებიეროული სასახლე, კუხელოური პარტახტი, ვაჭაროული პარტახტი, ძამიოური პარტახტი, სარიდოული პარტახტი, წიმწივური პარტახტი (ყველა 1621 წ.), მოზუერაული მამული (1638წ.), აღვენაური მამული (1689 წ.), ანტონაური ვენახი (1655 წ.), არსენაული საფლავი (XV ს.), არჯევნაული მამული და სასახლე (1609 წ.), ბარდაული მიწა (1659 წ.), ბერძენაული მინდორი (1660 წ.), ფილიმანაური სავენაჰე (XVII ს.), გულაური ქალა (XIV ს.), გულაური ვენახი (1695 წ.), თევდორაული ნავენაჰეები (დაახლ. 1258 წ.), თოროსაული სახლ-კარი (1482 წ.), ივანეული ნასასახლევი (1684 წ.), იორდანული ბაგა (1689 წ.), მოქიური სასახლე (XVII ს.), რომნაზაული ზუარი (1687 წ.) და მრ. სხვანი.

იმავე ეპოქის იურიდიულ საბუთებში წარმოდგენილია -ურ//ულ სუფიქსის შემცველი შემდეგი თითოსიტყვიანი მიკრო- და მაკროტოპონიმები:

საღორული (1622 წ.), ურიული (1683 წ.), ფოლადაური (XVII ს.), ქაჩალაური (1696 წ.), შალვაური (1398 წ.), ციციური (1628 წ.), ჯაველური (1700 წ.), ჯიმშური (1639 წ.), აბაზაური (1632 წ.), ამბრიაული (1651 წ.), ანანური (1647 წ.), ბალახური//ბალახაური (1671, 1689, 1690 წწ.), ბუზაური (1659 წ.), გაგნაური (1559 წ.), გამრეკელაური (1654 წ.), გერტაული (1398 წ.), გვაზაური (XVII ს.), გოგალური (1676-1696 წწ.), გომარეული (1677 წ.), გრძელაური (16689 წ.), გულიაური (1568, 1624 წწ.), დევაური (XVI-XVII სს.), დიღმელაური (1524 წ.), ივანაძეული (1559 წ.), ისლამაური (1662 წ.), კალაური (1398 წ.), ლაფაური, ვირშელაური, მახარაული, ცეტიური, (ყველა 1467 წ.), მანანური (1700 წ.), მაჩხაური (XVII ს.), მირჯანაული (1656 წ.) მოზუერაული (1638 წ.), ნადირაული (1614 წ.), თოზაური (1693 წ.), ოსიაური (1584 წ.), პანიური (1666 წ.), საბურაული (1583 წ.), საბონაური (XVII ს.) და მრ. სხვანი.

ზემოთ დასახელებული ორი ჯგუფის ტოპონიმთა ურთიერთშედარება საფუძველს გვაძლევს, დავასკვანთ, რომ გეოგრაფიულ სახელთა მეორე ჯგუფი, თითოსიტყვიანი ტოპონიმები მიღებულია ენაში მოქმედი ეკონომიის პრინციპის საფუძველზე: ორსიტყვიანი სინტაგმები გამარტივდა, მათ ჩამოსცილდა საზღვრული სიტყვები, ხოლო მსაზღვრელები გასუბსტანტივდნენ. ვვარაუდობთ, რომ მომდევნო ეტაპზე ამ გზით მიღებული მიკროტოპონიმების ერთი ნაწილი მაკროტოპონიმებად, კერძოდ, ოიკონიმებადაც გადაიქცნენ. სწორედ ასეთი წარმომავლობისანი ჩანან

ამჟამინდელი საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე მოფენილი დაბა-
-რულები სახელწოდებანი:

ძიგური (აბაშის რ.);

გორგული, ბოლაჯაური, ნამნიაური (აღიგენის რ.);

ამბროლაური, ძირაგეული, ბუგეული, ბარგული (ამბროლაურის რ.);

ჭაჭამური, წიფთაური, კიტრიული (ახალგორის რ.);

ჩოფჩაური, ბაბანეული, ჩარეკაული, ქისტაური, ოსიაური (ახმეტის რ.);

ფოლადაური (ბოლნისის რ.);

ფუწყური, ფშაური (გალის რ.);

კალაური (გურჯაანის რ.);

ანანური, პავლეური, გოგნაური, მანასეული, ფასანაური, ბულაჩაური
(ღუშეთის რ.);

კუშუბაური, მანისაური, ინაშოური (ვანის რ.);

დილიკაური, როდინოული (ზესტაფონის რ.);

ჭორბაული, თორმანეული, მუხაური (ყოფ. ზნაურის//ყორნისის რ.);

კურდღელაური, შალაური//შალვაური (თელავის რ.);

მაჩიტოური, კაკაბოური, ოდილაური (თერჯოლის რ.);

ჩობალაური (კასპის რ.);

ონანური (ლაგოდეხის რ.);

გვიმბალაური, გაგური (ლანჩხუთის რ.);

რცხმელაური, მანანაური, ხოფური (?) (ლენტეხის რ.);

მარნეული (მარნეულის რ.);

სილაური, ნიაბაური, ჰოხვაური, ლაითური (ოზურგეთის რ.);

წმინდური (ონის რ.);

კვიტოული (ოჩამჩირის რ.);

თოხლიაური, პატარძეული, ბადიაური (საგარეჯოს რ.);

მელაური, ხუნჯულოური (სამტრედიის რ.);

მახათაური, შალაური, კორბოული (საჩხერის რ.);

პერტული — პეტრული (სენაკის რ.);

ასანური (სიღნაღის რ.);

გურზული (სოხუმის რ.);

მზიაური, ძეყნური, ივანეული (ტყვიბულის რ.);

ბერძენაული, დოდლაური, ბადიური (ქარელის რ.);

კოლოტაური, არსენაული, გუნდაური, სალიბაური, კანტაური,
კოკოტაური (ქედის რ.);

გოგმაჩაური, ვარჯანაული, კობალაური (ჭობულეთის რ.);

გუდაური (ყაზბეგის რ.);

წანკალაური, გოგინაური, ლომანაური, იაკობაური, ქუთაური, ოლადაური,
ჯუმეშაური, ბუთურაული, მჭედლური, ნიგაზეული, ფოთელაური, ვარჯანაული,
ნიქაური, გუნდაური, ოქროპილაური — ოქროპირაული (შუახევის რ.);

ჩონატაური, გუთური, იანეული, ჩაკიტაური, ქადაგაური, შველაურ-
ციციბაური, გოგოური, გორაბერეეოული (ჩონატაურის რ.);

პანტანაური, ჩხარაული, ლაცაური, ხოშური, შულაური, შვლეური,
გუჯაბაური, ნანიური (ცხინვალის რ.);

პალოური (წალენჯიხის რ.);

ბესიაური (წყალტუბოს რ.);
 ბეგიაური, კალაური, ბუნიკაური, ხალიფაური, ჩხირაული, გეზრული
 (ჭიათურის რ.);
 ხარაგაული, ციცქიური, ჯაფარაული (ხარაგაულის რ.);
 ხელვაჩაური, მახვილაური, თოდოგაური, მახინჯაური, სალიბაური
 (ხელვაჩაურის რ.);
 გვაზაური, უძლოური, დედალაური, ბესიაური, ხარაბაული (ზონის რ.);
 ბოზაური, ქურდული, ყინჩაური, გურძაული, ბოძაური,
 დანისპარაული — დარისპანაული, ფუშრუკაული, მახალაკაური (ხულოს რ.);
 სინაგური (ჯავის რ.).

საყურადღებოა, რომ ერთი და იგივე ოიკონიმი ზოგჯერ დასტურდება სხვადასხვა რაიონში. მაგალითად: სოფლები ოსიაურის სახელწოდებით არის, ერთი მხრივ, ქართლში, ხაშურის რაიონში, მეორე მხრივ კი კახეთში, ახმეტის რაიონში (სახელი ოსია-ურ-ი არავითარ კავშირში არ არის ეთნონიმ ოს-თან, მას საფუძვლად უდევს ან პირსახელი ოსია, რომელიც ჯერ კიდევ პალესტინის V საუკუნის წარწერაში დასტურდება, ანდა პირსახელ იოსებ-ის კნინობითი ოსია ფორმა); სოფლები კალაურის სახელწოდებით არის გურჯაანისა და ჭიათურის რაიონებში; სოფლები შალაური//შალვაურის სახელწოდებით წარმოდგენილია საჩხერისა და თელავის რაიონებში და ა.შ., რაც დამატებით სხვადასხვა რეგიონის ტოპონიმთა წარმოების მსგავს პროცესებზე მიუთითებს.

ზოგი ოიკონიმის ეტიმოლოგიის გარკვევაში დახმარებას გვიწევს პირსახელები და გვარსახელები. შდრ., მაგალითად:

ამბროლა-ურ-ი და ამბროლა-ძე;
 ანან-ურ-ი და ანანია;
 ბავლე-ურ-ი და ბავლე;
 გოგნა-ურ-ი და გოგნა-ძე;
 მანასე-ურ-ი და მანასე;
 თორმანე-ულ-ი და თურმან, თურმან-იძე;
 მუხა-ურ-ი და მუხა-ძე;
 კურდღელა-ურ-ი და კურდღელა;
 შალა-ურ-ი და შალვა//შალა, შალიკო;
 მაჩიტო-ურ-ი და მაჩიტ-იძე//მაჩიტა-ძე;
 კაკაბო-ურ-ი და კაკაბა-ძე;
 ოდილა-ურ-ი და ოდილა-ვა-ძე;
 მანანა-ურ-ი და მანანა;
 კვიტო-ულ-ი და კვიტა-შვილი//კვიტა-იშვილი;
 პეტრ-ულ-ი და პეტრე//პეტრე, პერტია;
 ასან-ურ-ი და (ჰ)ასან;
 მზია-ურ-ი და მზია;
 გოგმაჩა-ურ-ი და გოგმაჩა-ძე;
 კობალა-ურ-ი და კობალა-ძე;
 ოქროპილა-ურ-ი და ოქროპირა;
 ციცქი-ურ-ი და ციცქი-შვილი;
 გვაზა-ურ-ი და გვაზა-ვა;
 ხარაბა-ულ-ი და ხარაბა-ძე;

დანისპარა-ულ-ი და დარისპან და ა.შ.

-ურ//-ულ სუფიქსიან ოიკონიმთა ეტიმოლოგია საგანგებო ანალიზს მოითხოვს, რაც მომავლის საქმედ გვესახება. ამჟერად კი უნდა დავასკვნათ:

1. -ურ//-ულ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებში ასრულებს კუთვნილების გამონათვის ფუნქციას.

2. ამ სუფიქსით თავდაპირველად ფორმდებოდა მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის ორსიტყვიან მიკროტოპონიმთა პირველი კომპონენტი (მსაზღვრელი). XII-XIII საუკუნეებიდან მაინც (თუ უფრო ადრე არა) დაწყებულია ორსიტყვიან მიკროტოპონიმთა გამარტივების პროცესი (საზღვრული სიტყვის გამოტოვება), რაც გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეებში. ამ პროცესს ხელს უწყობდა მიკროტოპონიმთა ოიკონიმებად გადაქცევა და ეკონომიის პრინციპის ამოქმედება (მდრ., -ის სუფიქსიანი ტოპონიმები: შინდ-ის-ი, რუ-ის-ი, თბილ-ის-ი..., რომლებიც ასევე საზღვრულგაუჩინარებული მსაზღვრელებია).

ლიტერატურა

ქსძ — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.

ბ. ჯორბენაძე..., 1988 - ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბ., 1988.

GVANTSA GVANTSELADZE

TOWARDS THE HISTORY OF GEORGIAN TOPONYMS OF ONE TYPE

This work deals with the origination and development of Georgian toponyms which are formed by **-ur/-ul** suffixes. It is recognized that there were initially two- words geographical names where the first component was the determinandum with **-ur /-ul** suffixes and the other one was the determinatum word (*mic'a* "land", *mamuli* "motherland", *ch'ala* "flood meadow", *sasaxle* "palace", *venaxi* "vineyard"), etc. Such microtoponyms with two words are enormously fixed in medieval judicial documents (*Antona-ur-i venaxi* < "Antona's vineyard", *Gula-ur-i ch'ala* < "Gula's flood meadow").

The one-word microtoponyms with **-ur/-ul** suffixes: Ananuri, Ambrolauri, Pasaauri, Marneuli, Kvitouli, Gudauri, Chokhatauri, Osiauri, Khelvachauri, Makhinjauri, etc. are the result of separating the determinatum word from such microtoponyms.